



The European Union  
for Georgia  
ENPARD



სოფლისა და სოფლის მეურნეობის ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD)-ს  
მიერ დაფინანსებული პროექტი

„ინკლუზიური და თანამონაწილეობითი ადგილობრივი განვითარების  
ხელშეწყობა ახმეტის მუნიციპალიტეტში“



ახმეტის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG)

საგრანტო სახელმძღვანელო

## პროექტისა და წარმოდგენილი საგრანტო სახელმძღვანელოს შესახებ

ორგანიზაცია Action Against Hunger, კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდთან (KRDF) პარტნიორობით ახორციელებს ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) მიერ მხარდაჭერილ პროექტს „ინკლუზიური და თანამონაწილეობითი ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა ახმეტის მუნიციპალიტეტში“ „ახმეტის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) წარმოადგენს აღნიშნული პროექტის თემზე დაფუძნებული განვითარების მიდგომის ძირითად გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. LAG-მა თანამონაწილეობითი მიდგომით შეიმუშავა ადგილობრივი განვითარების სტრატეგია, რომელიც წარმოადგენს მთავარ დოკუმენტს სოფლის განვითარების გრანტების შერჩევის პროცესში. აღნიშნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა შემუშავებულია და LAG -ი აცხადებს საგრანტო კონკურსს 2021 წლის 21 ივლისიდან.

ადგილობრივი თემის მიერ მართულ ამ განვითარების პროექტში, გადაწყვეტილების მიმღებ მთავარ ორგანოს, ახმეტის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) წარმოადგენს. თანამონაწილეობითი მიდგომის საფუძველზე, LAG-ის მიერ შემუშავებული იქნა ადგილობრივი განვითარების სტრატეგია (LDS), სადაც ასახულია ის ძირითადი პრიორიტეტები და საქმიანობები, რომელსაც LAG-ი ფინანსურ დახმარებას გაუწევს 2021 წელს (იხ. ცხრილი # 1).

მოცემულ სახელმძღვანელოში წარმოდგენილია საგრანტო კონკურსის შესახებ სრული ინფორმაცია, მათ შორის, ვის შეუძლია საგრანტო განაცხადის წარდგენა, დასაშვები/დაუშვებელი ხარჯები, განაცხადების შეტანისა და შერჩევის პროცესი, განაცხადების ქულებით შეფასება და გრანტების გაცემა. საგრანტო პროცესის მექანიზმის ნათლად გასაგებად, გთხოვთ წაიკითხოთ სახელმძღვანელოს ყველა თავი.

### ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის მნიშვნელობა საგრანტო კონკურსისთვის

საგრანტო კონკურსის მიზანია, ხელი შეუწყოს ახმეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის მიზნის, „ახმეტის მუნიციპალიტეტში ცხოვრების ხარისხისა და ეკონომიკური განვითარების გაუმჯობესება“ განხორციელებას.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) მიერ, განისაზღვრა სამი პრიორიტეტი:

1. საჯარო ინფრასტრუქტურისა და გარემოს გაუმჯობესება, საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორების თანამშრომლობით
2. ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება, სოფლის მეურნეობის, ბიზნესისა და ტურიზმის სექტორებში თვით-მდგრადობის განვითარების ხელშეწყობით
3. სოციალური სექტორის გაძლიერება, სოციალური ინფრასტრუქტურისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესების გზით

ქვემოთყვანილ ცხრილში წარმოდგენილია LAG-ის მიერ, აღნიშნული სამი პრიორიტეტის განხორციელების 11 საქმიანობა, რომელიც დაფინანსებული იქნება 2021 წელს, ადგილობრივი თემების და ბიზნესების განვითარებისა და კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური ეფექტის დაძლევის მიზნით.

დაფინანსების მისაღებად, ყველა საპროექტო წინადადება შესაბამისობაში უნდა იყოს განხორციელების თუნდაც ერთ საქმიანობასთან, რომელიც სტრატეგიის ცხრილშია მოყვანილი, თქვენ კი თქვენს განაცხადში ნათლად უნდა განმარტოთ, რომელ საქმიანობას შეესაბამება თქვენი პროექტი.

ასევე, თქვენი პროექტი უნდა ჯდებოდეს კონკრეტული საქმიანობისთვის ცხრილში მითითებული მინიმალური და მაქსიმალური ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში.

ყველა აპლიკანტმა უნდა შეძლოს უზრუნველყოს თანადაფინანსება. ყოველი საქმიანობის მინიმალური თანადაფინანსება და რა ფორმით უნდა გამოიხატოს ის, ფინანსური თუ ნატურით, ასევე მოცემულია ცხრილში.

ცხრილში ასევე წარმოდგენილია ზოგიერთი საპროექტო წინადადება - რომელიც არის მხოლოდ სარეკომენდაციო სახის, ჩვენ კი განმცხადებლებისგან მივესალმებით პრიორიტეტებისა და ქმედებების შესაბამის, კრეატიულ (შემოქმედებით) და ინოვაციურ იდეებს.

ცხრილი 1: ახმეტის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) 2021 წელს საგრანტო კონკურსით დასაფინანსებელი სტრატეგიული პრიორიტეტები და საქმიანობები

პრიორიტეტი	საქმიანობა	თითოეული პროექტის დაფინანსების საზღვრები (ევრო)	საგრანტო დაფინანსების %	თანა-დაფინანსება	საორიენტაციო საპროექტო იდეები
1. საჯარო ინფრასტრუქტურისა და გარემოს გაუმჯობესება, საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორების თანამშრომლობით	1.1. საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება.	მინიმ. თანხა: 10,000 მაქს. თანხა: 30,000 ბიუჯეტი: 30,000	მაქს. 50%	მინიმ. 50% ფულადი თანამონაწილეობა	<ul style="list-style-type: none"> <li>ახმეტის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტით უზრუნველყოფა</li> </ul>
2. ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება, სოფლის მეურნეობის, ბიზნესისა და ტურიზმის სექტორებში თვით-მდგრადობის განვითარების ხელშეწყობით	2.1. ილტოს ხეობაში მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციებში ინვესტიციების მხარდაჭერა.	მინიმ. თანხა: 1,500 მაქს. თანხა: 3,000 ბიუჯეტი: 12,000	მაქს. 70%	მინიმ. 30% ფულადი თანამონაწილეობა	<ul style="list-style-type: none"> <li>სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და აღჭურვილობის შეძენა</li> <li>სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი აღჭურვილობის შეძენა</li> <li>ტექნიკის, აღჭურვილობის და ინვენტარის განახლება.</li> </ul>
	2.2. ბრენდინგის, მარკეტინგისა და სამეურნეო პროდუქციის გაყიდვის ხელშეწყობა.	მინიმ. თანხა: 1,500 მაქს. თანხა: 3,000 ბიუჯეტი: 12,000	მაქს. 70%	მინიმ. 30% ფულადი თანამონაწილეობა	<ul style="list-style-type: none"> <li>ფერმის ბრენდის განვითარება</li> <li>სოფლის მეურნეობის პროდუქტების განვითარება (შეფუთვა, ეტიკეტირება, ბრენდირება და ა.შ.)</li> <li>ონლაინ გაყიდვებისა ორგანიზება და ონლაინ პლატფორმების გამარტივება.</li> <li>ქსელური მარკეტინგი</li> <li>მცირე ღირებულების ჯაჭვებისა და პირდაპირი მარკეტინგის მხარდაჭერა (ადგილობრივი მაღაზიების მოწყობა ფერმებში, ადგილობრივი ბაზრების ადგილები და ა.შ.)</li> </ul>
	2.3. მცირე და საშუალო რეგისტრირებულ საწარმოებში ინვესტირების ხელშეწყობა	მინიმ. თანხა: 1,500 მაქს. თანხა: 3,000 ბიუჯეტი: 30,000	მაქს. 80%	მინიმ. 20% ფულადი თანამონაწილეობა	<ul style="list-style-type: none"> <li>ტექნიკური შესაძლებლობების, აღჭურვილობისა და ინვენტარის განახლება.</li> <li>ახალი სამომხმარებლო სერვისებისა და საწარმოო ხაზების ამოქმედება</li> </ul>

	2.4. სოფლის მეურნეობის ტრენინგებისა და კონსულტაციების გაწევა.	მინიმ. თანხა: 1,500 მაქს. თანხა: 5,000 ბიუჯეტი: 10,000	მაქს. 90%	მინიმ. 10% ფულადი თანამონაწილეობა	<ul style="list-style-type: none"> <li>○ ტრენინგი მიწათმოქმედებაზე (აგრონომია, ვეტერინარია, ფიტოსანიტარია, მცენარეთა დაცვა, ინჟინერია, მეფუტკრეობა და ა.შ.),</li> <li>○ სოფლის მეურნეობის სფეროში კონსულტაციების გაწევა,</li> <li>○ ადგილზე ვიზიტების ორგანიზება (მოკლე სავლე ტრენინგები) და ა.შ.</li> </ul>
	2.5. ახალი ტურისტული სერვისების ან პროდუქტების მიწოდების მხარდაჭერა.	მინიმ. თანხა: 3,000 მინიმ. თანხა: 8,000 ბიუჯეტი: 32,000	მაქს. 70%	მინიმ. 30% ფულადი თანამონაწილეობა	<ul style="list-style-type: none"> <li>○ ახალი ტურისტული ტურების მოწყობა (ცხენოსნობა, ველოსიპედი, კვადრიციკლი, ლაშქრობა და ა.შ.) და გიდების განვითარება,</li> <li>○ თავშესაფრებისა და კარვების მოწყობა,</li> <li>○ ონლაინ პლატფორმებისა და აპლიკაციების შემუშავება ტურისტული საიტებისა და სერვისების მარკეტინგისთვის,</li> <li>○ ხელნაკეთი ნივთების დამზადება; ტრადიციული თუშური, კახური, ოსური რეწვის პოპულარიზაცია; ადგილობრივი რეწვის უნარ-ჩვევების ტრენინგებისა და მასტერკლასების ორგანიზება</li> <li>○ ადგილობრივი ინტერაქტიული მუზეუმებისა და მიმზიდველი ადგილების შექმნა, გასართობი პარკების დაარსება, ფესტივალები</li> </ul>

	2.6. ჰიგიენური და სანიტარული საშუალებების გაუმჯობესება ტურიზმის სერვისების უზრუნველსაყოფად.	მინიმ. თანხა: 3,000 მაქს. თანხა: 6,000 ბიუჯეტი: 30,000	მაქს. 80%	მინიმ. 20% ფულადი თანამონაწილეობა	<ul style="list-style-type: none"> <li>○ საზოგადოებრივი ტუალეტის, საშხაპების, სასმელი წყლის ობიექტების, წყალმომარაგების ობიექტების მოწყობა ან კეთილმოწყობა.</li> </ul>
	2.7. სიცოცხლის მანძილზე სწავლებისა და ბიზნეს სექტორის შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობა	მინიმ. თანხა: 1,500 მაქს. თანხა: 5,000 ბიუჯეტი: 10,000	მაქს. 95%	მინიმ. 5% ფულადი თანამონაწილეობა	<ul style="list-style-type: none"> <li>○ კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგების ორგანიზება</li> <li>○ გაცვლითი პროგრამებისა და სასწავლო ვიზიტების განვითარება</li> <li>○ სასწავლო სემინარების, კონფერენციების, ვორკშოპების, ა.შ. ორგანიზება</li> </ul>
	2.8. საზოგადოებაში მეწარმეობის უნარების ჩამოყალიბება.	მინიმ. თანხა: 1,500 მაქს. თანხა: 3,000 ბიუჯეტი: 6,000	მაქს. 95%	მინიმ. 5% ფულადი თანამონაწილეობა	<ul style="list-style-type: none"> <li>○ ტრენინგების ჩატარება ბიზნეს იდეის წარმოებაზე, ბიზნეს გეგმის შემუშავებაზე, ფინანსების მენეჯმენტზე, აღრიცხვაზე, მარკეტინგზე, ადამიანური რესურსების განვითარებაზე და ა.შ.</li> <li>○ წარმატებული ბიზნესების მონახულების ორგანიზება სკოლის მოსწავლეებისათვის.</li> <li>○ თვითდასაქმებული ბიზნეს იდეების მოძიება სოფლის ახალგაზრდებთან, რომლებიც არ არიან ჩართულნი განათლებაში, დასაქმებაში ან ტრენინგში (NEETs), და ა.შ.</li> </ul>
3. სოციალური სექტორის გაძლიერება, სოციალური ინფრასტრუქტურისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესების გზით	3.1. სტაციონარული და მობილური სოციალური სერვისების უზრუნველყოფა მოწყვლადი მოსახლეობისათვის	მინიმ. თანხა: 3,000 მაქს. თანხა: 8,000 ბიუჯეტი: 16,000	მაქს. 95%	მინიმ. 5% ფულადი და არაფულადი თანამონაწილეობა	<ul style="list-style-type: none"> <li>○ მიწოდების სერვისების უზრუნველყოფა</li> <li>○ ტექნიკისა და აღჭურვილობის შექმნა</li> <li>○ საკვების მიწოდების/კვების მიწოდების სტაციონარული და მობილური სერვისების მიწოდება</li> <li>○ სამრეცხაო სერვისების მიწოდება</li> <li>○ სატრანსპორტო სერვისების მიწოდება</li> <li>○ ახალგაზრდების მოხალისეობის წახალისება</li> </ul>

	3.2. სოციალური საწარმოების შექმნისა და საქმიანობის ხელშეწყობა	მინიმ. თანხა: 3,000 მაქს. თანხა: 8,000 ბიუჯეტი: 16,000	მაქს. 90%	მინიმ. 10% ფულადი და არაფულადი თანამონაწილეობა	<ul style="list-style-type: none"> <li>○ ეთნიკური საზოგადოების ტურიზმის სერვისების შექმნა (ენდემური ნიშნით, მაგალითად, "დამბალ ხაჭო", "თუშეთიკალი") მოწყვლადი ჯგუფებისა და ახალგაზრდების დასაქმების მიზნით, რომლებიც არ არიან ჩართულნი განათლებაში, დასაქმებაში ან ტრენინგში (NEETS).</li> <li>○ საბავშვო დღის ცენტრების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრების, ახალგაზრდული კლუბების და ა.შ. დაარსება, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი საფასურის ოდენობით.</li> </ul>
--	---	--	-----------	---	--

## ვის შეუძლია გრანტზე განაცხადის წარმოდგენა?

გრანტზე განაცხადის წარმოდგენა შეუძლია:

- საქართველოს მოქალაქეებს (18 წლის და მეტი ასაკის)
- საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს (ბიზნესებს) (განმცხადებელს შეუძლია განაცხადი შემოიტანოს იურიდიული სტატუსის არ მქონე ბიზნესის სახელით, თუმცა საგრანტო დაფინანსების მიღებამდე, ის დარეგისტრირებული უნდა იქნას)
- არასამთავრობო ორგანიზაციებს
- ახმეტის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (სსიპი)
- არაფორმალურ სათემო ჯგუფებს

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი პროექტი:

- უნდა განხორციელდეს ახმეტის მუნიციპალიტეტში.
- უნდა შეესაბამებოდეს ახმეტის LAG-ის სტრატეგიას და აკმაყოფილებდეს სტრატეგიის თუნდაც ერთ საქმიანობას.
- ჯდება დაშვებული საგრანტო თანხების ფარგლებში
- გააჩნდეს მოთხოვნილი თანადაფინანსება

დაფინანსების გამოყენება შესაძლებელია:

- ✓ ძირითადი საშუალებების, აღჭურვილობის, მასალისა და მომსახურების შესყიდვის ხარჯები
- ✓ ტექნიკური დახმარების, ტრენინგების, სემინარების და სამუშაო შეხვედრების ხარჯები;
- ✓ სარეკლამო მასალების (ბროშურები, წიგნები, ა.შ.) ბეჭდვის ხარჯებისთვის;
- ✓ მოგზაურობისა და განთავსების ხარჯებისთვის (ლექციებზე, ტრენინგებზე დასასწრებად, ა.შ.);
- ✓ საოფისე მასალების და საკანცელარიო ნივთები სემინარების, სამუშაო შეხვედრების, ლექციების და ა.შ. ჩატარებისთვის

დაფინანსების გამოყენება არ შეიძლება :

- ✗ მიწის ან შენობა-ნაგებობის შესაძენად ან იჯარით ასაღებად;
- ✗ ჯარიმების, სხვა სახის ფინანსური სანქციებისა და სასამართლო ხარჯების გადასახდელად;
- ✗ საბანკო ხარჯების, საბანკო გარანტიისა და სხვა მსგავსი ხარჯების დასაფარად;
- ✗ იჯარის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნაღები ხარჯები და დაზღვევის ხარჯები
- ✗ კომუნალური ხარჯებისთვის (ე.ი. საწვავი, ელექტროენერჯის, წყლის გადასახადი, ა.შ.)
- ✗ ორგანიზაციის საშტატო თანამშრომლების ხელფასი
- ✗ ინვესტიციებისთვის, რომელმაც შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს დაცულ და მნიშვნელოვან ბუნებრივ გარემოზე, ეკოსისტემებსა და ბიომრავალფეროვნებაზე;
- ✗ ნარკოტიკული საშუალებებისა და ნიკოტინის წარმოებისთვის;
- ✗ პირუტყვის შესაძენად (მათ შორის ფუტკრების ოჯახის);
- ✗ პოლიტიკური პარტიებისა და რელიგიური ინსტიტუტების პოპულარიზაციისთვის



## რას წარმოადგენს აპლიკაციის პროცესი?

განაცხადების მიღების პროცესი განხორციელდება 2 ეტაპად

ეტაპი 1 - განაცხადის წარდგენაზე ინტერესის გამოხატვა (პირველადი განაცხადი)

ეტაპი 2 - სრული განაცხადის წარდგენა

განაცხადის ფორმები ხელმისაწვდომია ახმეტის LAG-ის ვებგვერდზე [www.akhmetalag.ge](http://www.akhmetalag.ge) და ფეისბუქ გვერდზე.

განმცხადებელი ვალდებულია შეავსოს განაცხადის ფორმის ყველა პუნქტი და წარადგინოს განაცხადი და **2021 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით**, ყველა განაცხადი წარდგენილი უნდა იქნას ელექტრონული ფორმით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [akhmetalag@gmail.com](mailto:akhmetalag@gmail.com)

*შენიშვნა: ხელნაწერი ვერსიები არ მიიღება.*

### ეტაპი 1

#### განაცხადის წარდგენაზე ინტერესის გამოხატვა (პირველადი განაცხადი)

პირველადი განაცხადის მიზანია, შემოწმდეს, დაიშვება თუ არა ყველა განმცხადებელი საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის, არის თუ არა ხარჯები დასაშვები და შეესაბამება თუ არა პროექტის იდეა, ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის თუნდაც ერთ საქმიანობას. პირველად განაცხადები შეფასდება შესარჩევი კომიტეტის მიერ, შესაბამისობის კრიტერიუმების საფუძველზე. პირველადი განაცხადის აღნიშნულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილება შეთანხმებული უნდა იქნას შესარჩევი კომიტეტის ყველა წევრის მიერ.

შესაბამისობის ჩამონათვალში გათვალისწინებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

- ✓ განაცხადი წარდგენილია საბოლოო ვადის ამოწურვამდე;
- ✓ განაცხადი წარდგენილია პირველადი განაცხადის დამტკიცებული ფორმით;
- ✓ პირველადი განაცხადის ყველა აუცილებელი ველი შევსებულია;
- ✓ შემოთავაზებული პროექტი მკაფიო შესაბამისობაშია ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის თუნდაც ერთ პრიორიტეტთან/საქმიანობასთან;
- ✓ პროექტით დაგეგმილი აქტივობები განხორციელდება ახმეტის მუნიციპალიტეტში;
- ✓ განაცხადს თან ახლავს სარეგისტრაციო დოკუმენტი ან განმცხადებლის პირადობის მოწმობა;
- ✓ მოთხოვნილი თანხა შეესაბამება ფინანსური მხარდაჭერის პარამეტრებს;
- ✓ დაკმაყოფილებულია გრანტის თანადაფინანსების პროცენტული მაჩვენებელი

პირველადი განაცხადების განხილვის პროცედურის შემდეგ, ყველა განმცხადებელი მიიღებს ელექტრონული ფორმით წერილობით შეტყობინებას განხილვის შედეგების შესახებ. წარმატებულ განმცხადებლები ინფორმირებული იქნებიან საგრანტო კონკურსის მე-2 ეტაპზე გადასვლის შესახებ.

## ეტაპი 2

### სრული განაცხადის წარდგენის პროცესი

პირველადი განაცხადის ეტაპზე წარმატებულ ყველა განმცხადებელს, ამის შემდეგ მოეთხოვება განსაზღვრულ ბოლო ვადამდე წარმოადგინოს ახალი განაცხადი და აუცილებელი დოკუმენტაციის სრული პაკეტი, რომელიც უნდა მოიცავდეს შესაბამის ბიზნეს და ტრენინგის გეგმას, ბიუჯეტს, ქონების საკუთრების უფლებას, სერტიფიკატებს, ა.შ.

ადმინისტრაციული ჩამონათვალი იძლევა შესაძლებლობას დავრწმუნდეთ, რომ ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია:

- ✓ განაცხადი წარმოდგენილია დამტკიცებული განაცხადის ფორმის მიხედვით;
- ✓ განაცხადი დეკლარაცია ხელმოწერილია განმცხადებლის მიერ;
- ✓ განაცხადს თან ახლავს სარეგისტრაციო დოკუმენტი ან განმცხადებლის/პარტნიორის პირადობის მოწმობა;
- ✓ განაცხადი არის სრული და სათანადოდ არის შევსებული;
- ✓ განაცხადი ინარჩუნებს სტრატეგიის პრიორიტეტებთან/საქმიანობებთან შესაბამისობას;
- ✓ მოთხოვნილი თანხა ჯდება ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში;
- ✓ წარმოდგენილია ყველა აუცილებელი დამხმარე დოკუმენტი ან ახსნა-განმარტება, როდის იქნება ისინი მოწოდებული.

### საბოლოო განაცხადების ბოლო შემოწმება

თუკი სრული განაცხადი აკმაყოფილებს ზემოთ აღწერილ ყველა კრიტერიუმს, განხორციელდება შემდეგი ორი სახის საბოლოო გადამოწმება:

#### ა. ორმაგი დაფინანსების არსებობის გადამოწმება

ერთი და იმავე სფეროში, იგივე ინვესტიციის ორმაგი დაფინანსების თავიდან ასაცილებლად, გადამოწმებული იქნება სხვა დონორებისა და სააგენტოების მიერ, დღემდე დაფინანსებული პროექტების მონაცემთა ბაზა. იმ შემთხვევაში, თუ პროექტით შემოთავაზებული საქმიანობა იმავე სფეროში უკვე იქნა დაფინანსებული იქნა, გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, უნდა დაფინანსდეს თუ არა განაცხადი, მიღებული იქნება კონკრეტული შემთხვევის შემოწმების გზით. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს უკვე გამოყენებული აქვს სხვა წყაროებიდან მიღებული დაფინანსება იგივე საქმიანობისთვის, მის მიერ დაფინანსებაზე წარმოდგენილი განაცხადი ჩაითვლება კონკურსისთვის შეუსაბამოდ (დაუშვებლად)

#### ბ. ადგილზე კონტროლი

ადგილზე კონტროლის მიზანია, განისაზღვროს, შეესაბამება თუ არა განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ფაქტიურ მდგომარეობას. ადგილზე კონტროლის დროს, ყველა წარმომადგენელმა უნდა მოამზადოს და ხელი მოაწეროს ერთ ანგარიშს ადგილის შემოწმების შესახებ. ანგარიშს ასევე ხელს აწერს განმცხადებელი. მასვე შეუძლია გააკეთოს კომენტარები, ადგილზე შემოწმების შედეგებთან დაკავშირებით.

### როგორ ხდება განაცხადების შეფასება? (განახლებული შეფასების ცხრილი - იხილეთ დანართი #1)

წარმოდგენილ განაცხადებს შეაფასებს LAG -ის წევრებისა და დამოუკიდებელი ექსპერტებისგან შემდგარი შესარჩევი კომიტეტი, ქვემოთოყვანილ ცხრილში წარმოდგენილი ქულებით, შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე. პროცესზე ზედამხედველობას განახორციელებს „მომრეობა შიმშილის წინააღმდეგ“ წარმომადგენელი. უზრუნველყოფილი იქნება, რომ შერჩევაში მონაწილე არცერთ პირს ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ განაცხადთან. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, დაინიშნება შესარჩევი

კომიტეტის სარეზერვო წევრი. შემუშავებულია ქულებით შეფასების ცალ-ცალკე სისტემები კომერციული პროექტებისა და სოციალური პროექტებისთვის, რომელიც ქვემოთაა წარმოდგენილი ცხრილებში # 2 და # 3.

**ცხრილი 2: ქულებით შეფასების ცხრილი კომერციული პროექტებისთვის**

#	პრიორიტეტული კრიტერიუმები	ქულა (მაქს)
1	ბიზნეს იდეის, პრობლემის და საქმიანობების აღწერა	16
2	ხელშემწყობი წინაპირობები	5
3	პროექტის განხორციელების მიდგომები	17
4	აპლიკანტის ორგანიზაციული შესაბამისობა	10
5	პროექტის სტრატეგიული მიდგომები	12
6	პროექტის ფინანსური ანალიზი	15
7	მდგრადობა	10
8	პროექტის გავლენა	7
9	პროექტის სოციალური მრავალფეროვნება	8
	<b>ჯამური ქულა (მაქს.)</b>	<b>100</b>

**ცხრილი 3: ქულებით შეფასების ცხრილი სოციალური პროექტებისთვის**

#	პრიორიტეტული კრიტერიუმები	ქულა (მაქს)
1	პროექტის იდეის, პრობლემის და საქმიანობების აღწერა	16
2	ხელშემწყობი წინაპირობები	5
3	პროექტის განხორციელების მიდგომები	17
4	აპლიკანტის ორგანიზაციული შესაბამისობა	10
5	პროექტის სტრატეგიული მიდგომები	15
6	პროექტის ფინანსური ანალიზი	11
7	მდგრადობა	11
8	პროექტის გავლენა	7
9	პროექტის სოციალური მრავალფეროვნება	8
	<b>ჯამური ქულა (მაქს)</b>	<b>100</b>

ყოველი შემფასებელი დამოუკიდებლად აფასებს განაცხადს და ამზადებს შეჯამებულ საბოლოო რეიტინგს. შესარჩევი კომიტეტი შეაფასებს აპლიკაციების და ამოწმებს თითოეული პროექტის ბიუჯეტს, რათა დარწმუნდეს რომ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება საგრანტო დაფინანსებისთვის გამოყოფილ თანხებს.

**საგრანტო ჯილდოს დამტკიცება**

შევსებული წინასწარი შეფასების სიები, გრანტის გაცემაზე შეთავაზებულ წინასწარ გადაწყვეტილებებთან ერთად მიეწოდება LAG-ის საბჭოს (ბორდს) საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. LAG-ის საბჭოს შეხვედრაზე პროექტების განხილვისას, წევრი, რომელსაც ინტერესთა კონფლიქტი აქვს განსახილველ პროექტთან მიმართებაში, ტოვებს შეხვედრას მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების განმავლობაში. პროექტების დამტკიცების შემდეგ, „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ აცნობებს განმცხადებლებს LAG-ის გადაწყვეტილებებს.

**საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერა**

შერჩეულ განმცხადებლებთან კონტრაქტის გაფორმება დაიწყება მხოლოდ LAG -ის საბჭოს მიერ, გრანტის

მინიჭების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. „მოდრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ აცნობებს განმცხადებლებს მათი განაცხადების დამტკიცების შესახებ და მოიწვევს მათ „მოდრაობა შიმშილის წინააღმდეგ“-თან საგრანტო ხელშეკრულების ხელმოსაწერად.

საგრანტო კონტრაქტში აღწერილი იქნება „მოდრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ და გრანტის მიმღების უფლებები და ვალდებულებები. საგრანტო კონტრაქტის ორი (2) ეგზემპლარი ხელმოწერილი იქნება მხარეების, „მოდრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ და გრანტის მიმღების მიერ, რომელთაც გადაეცემათ თითო ეგზემპლარი,

მას შემდეგ, რაც განაცხადი დამტკიცდება და ხელი მოეწერება საგრანტო ხელშეკრულებას, გრანტის მიმღებმა უნდა დაიწყოს პროექტის განხორციელება და „მოდრაობა შიმშილის წინააღმდეგ“-თან თანამშრომლობა შესყიდვების პროცედურის განხორციელებისათვის, ევროკავშირისა და „მოდრაობა შიმშილის წინააღმდეგ“- შესყიდვების პროცედურების თანახმად.

იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიმღები ვერ უზრუნველყოფს თანადაფინანსებას ან დაგვიანების შესახებ რაიმე საპატიო მიზეზის წარმოდგენას დადგენილ და შეთანხმებულ ვადებში, კონტრაქტი ჩათვლება გაუქმებულად და ძალადაკარგულად.

### **ფინანსები და შესყიდვები**

თანხების გადახდა არ განხორციელდება თავად განმცხადებლების მიერ, რამდენადაც განაცხადში გათვალისწინებული ყველა ინვესტიციის დაფინანსებაზე და საჯარო შესყიდვებზე პასუხისმგებელი იქნება გრანტის გამცემი „მოდრაობა შიმშილის წინააღმდეგ“. „მოდრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ იტოვებს უფლებას, ინვესტიციის განხორციელებისა და მთლიანად კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში, დამატებითი კონტროლი განახორციელოს პროექტის ლოკაციაზე.

გრანტით დაფინანსებული სხვადასხვა საქონელის, მასალებისა და სამუშაოების შესყიდვას განახორციელებს ორგანიზაცია „მოდრაობა შიმშილის წინააღმდეგ“, შესყიდვების პროცედურების თანახმად.

შესყიდვების პროცესში, გრანტის მიმღები დახმარებას გაუწევს ორგანიზაციას „მოდრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ შემდეგი სახით:

- მოამზადებს საჭირო საქონელის ან სამუშაოების ჩამონათვალს (მათ შორის რაოდენობების მითითებით);
- მიაწოდებს საქონელის, სერვისებისა და სამუშაოებისთვის საჭირო ტექნიკურ სპეციფიკაციებს;
- მოამზადებს მომწოდებლების ან კონტრაქტორების იმდენად ვრცელ ჩამონათვალს, რომ უზრუნველყოფილი იქნას სამართლიანი კონკურენცია და მიღებული იქნას სამი ფასთა კოტირება მოთხოვნის შესაბამისად. ამგვარი ჩამონათვალი შეიძლება მომზადდეს წინა გამოცდილების და/ან ბაზრის პირდაპირი კვლევის საფუძველზე.

### **მონიტორინგი და ანგარიშგება**

პროექტის განხორციელების რეგულარული მხარდაჭერის ფარგლებში, „მოდრაობა შიმშილის წინააღმდეგ“, LAG-ის წევრებთან ერთად განახორციელებს ვიზიტს გრანტის მიმღებ პირებთან, ინვესტიციების განკარგვის პირობების შემოწმების და ინდიკატორებთან მიმართებაში პროექტის ზეგავლენის შესაფასებლად, რის შესახებაც შემდეგ ინფორმაცია მიეწოდება LAG-ის საბჭოს და ევროკავშირს.